

„დამტკიცებულია“
წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის)
2018 წლის 14 თებერვლის სხდომის
#01-06-02/06 დადგენილებით

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) აპარატის

დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება განსაზღვრავს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) აპარატის (შემდგომში – აპარატი) სტრუქტურას, ფუნქციებსა და საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.
2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატი უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულია, რომელიც უშუალოდ ექვემდებარება ადმინისტრაციის ხელმძღვანელს და ანგარიშვალდებულია მის წინაშე.

2. აპარატის ძირითადი ფუნქციები:

1. ორგანიზება გაუწიოს ადმინისტრაციისა და მისი ხელმძღვანელის საქმიან აქტივობებს;
2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით აწარმოოს საქმიანი კომუნიკაცია უნივერსიტეტის თანამშრომლებთან და მესამე პირებთან;
3. უზრუნველყოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის საქმიანი კორესპონდენციის მართვა.
4. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) ცალკეული დავალებების შესრულებას კომპეტენციის შესაბამისად.

მუხლი 3. აპარატის სტრუქტურა

1. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატს ხელმძღვანელობს აპარატის უფროსი.
2. აპარატის სტრუქტურაში შედის ადმინისტრაციის ხელმძღვანელისა და მისი მოადგილის თანაშემწე.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

1. დებულება ძალაშია უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან.
2. დებულება ძალადაკარგულად ითვლება ახალი დებულების დამტკიცების ან/და აპარატის ლიკვიდაციის შემთხვევაში.